დადგენილება:**დ-95. 95233031**

თარიღი:**30/10/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2023 წლის 27 ოქტომბერი

დაბა ქედა

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, სადარბაზოს ფანჯრები, თაღები, საერთო სარგებლობაში მყოფი სარდაფები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები); “

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) გარე ფასადის სარემონტო სამუშაოები.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი